ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 385

ქალაქი ქუთაისი 10 დეკემბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
მე-7 სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეშვიდე სხდომა მ/წლის 12 დეკემბერს, 14.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი N3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეშვიდე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი ს** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისში, ჟ. შარტავას ქუჩის №2-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვესტ პოინტის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სავაჭრო ცენტრის, ღია მოლისა და მოლის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ზაზა ჩხიკვაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის-არქიტექტურის, ურბანული
დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის
ხელმძღვანელი

3. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის I ჩიხის №5-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტარდის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, საწყობის შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ზაზა ჩხიკვაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის-არქიტექტურის, ურბანული
დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის
ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №49ა-ს მიმდებარედ, სსიპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი მიწის ნაკვეთში, მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ზაზა ჩხიკვაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის-არქიტექტურის, ურბანული
დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის
ხელმძღვანელი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია